პროლეტარეთო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

19 თებერვალი, ხუთშაბათი, 1987 წ.
№ 35 (9446) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



საქართველოს პროფსაბჭოს მძლეოსნობის სასახლეში [illegible] ორ მძლეოსანთა პირველობა, რომელშიც რაიონებისა და ქალაქების გუნდები მონაწილეობდნენ. ჩვენი ფოტოკორესპონდენტის ალექსანდრე კოტორაშვილის მიერ ვადაღებულ სურათზე ხედავთ 60 მეტრზე ჯაბუკთა ფინალური გარბენის მონაწილეებს. მარჯვნიდან პირველი—გამარჯვებული გიორგი ჯაშიაშვილი.

ამ შეჯიბრების შესახებ „ლელოს“ უახლოეს ნომერში მოგითხრობთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სროლის საკავშირო კვირეულზე

რესპუბლიკაში დიდი ინტერესი გამოიწვია სროლის საკავშირო კვირეულმა, რომელიც საბჭოთა არმიის დღეს ეძღვნება. გუშინ მივიღეთ რამდენიმე ინფორმაცია. სატელეფონო ხაზზეა ყვარელი. გვესაუბრება რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე **ზაურ ტუკალაშვილი:** „სწავლისა და შრომისაგან თავისუფალ დროს რაიონის ყველა ტირში ხალხმრავლობაა. ღონისძიების ჩატარებაში დიდ დახმარებას გვიწევს დოსააფის რაიონული კომიტეტი. ვცდილობთ ყველა შეჯიბრებას საზეიმო ელფერი მივცეთ. შაბათს ვატარებთ რაიონის პირველობას, რომელშიც ცალკეული კოლექტივების საუკეთესო მსროლელები გამოვლენ. **ხიდნაღი.** გვირეკავს რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე **ბიძინა მოხულიშვილი:**

სროლის საკავშირო კვირეულს მომზადებული შევხვდით. დაიწყო შეჯიბრებები რაიონის ორგანიზაციებსა და საშუალო სკოლების მოსწავლეთა მონაწილეობით. მაქსიმალურად ვიყენებთ წნორის სპორტული კომპლექსის, ტექნიკუმისა და სოფელ მაღაროს სამივე ტირს. 23 თებერვალს წნორში დიდი სარაიონო შეჯიბრება გაიმართება, რომელშიც 40 ორგანიზაციის ნაკრები გუნდები მიიღებენ მონაწილეობას. მსროლელები პირადი და გუნდური პირველობებისთვის იბრძოლებენ.

რესპუბლიკური სპორტსაზოგადოება „ზენიტი“. ხაზზეა საზოგადოების თავმჯდომარე **გივი მძელური:** „კვირეული შრომით კოლექტივებში ასპარეზობებით დავიწყეთ. ჯერ საამქრობისა და განყოფილებების პირველობები ეწყობა, შემდეგ, კერძოდ, 22-23 თებერვალს ჩავატარებთ რესპუბლიკურ პირველობას. სროლის გარდა პროგრამაში შევიტანეთ შეჯიბრება მშდ კომპლექსის მრავალჭიდში“.



დაგვირეკეთ:
93-97-50,
93-97-53.



ჩემპიონები და პრიზიორები

ლიპეცკში ჩატარდა საკავშირო ტურნირი ძიუდოში, რომელშიც მოკავშირე რესპუბლიკების ქალაქების 16 გუნდის 200-მდე ნორჩი ფალავანი მონაწილეობდა, მათ შორის იყვნენ ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის სპორტკლუბ „კოლხიდას“ მოჭიდავეებიც.

პირველი ადგილი დაიკავა ქუთაისის 21-ე პროფტექნიკური სასწავლებლის მოსწავლემ ალექსანდრე ჩაკვეტაძემ, რომელმაც ექვსივე შეხვედრა ვადამდე მოიგო. ზვიად აფციაური და ლევან გურეშიძე მესამე ადგილებზე გავიდნენ. გუნდურ ჩათვლაში „კოლხიდას“ მოჭიდავეებმა (მწვრთნელები გურამ მელიქიშვილი და ვიტალი გაბუნია) მესამე ადგილი დაისაკუთრეს.

არქიტექტორები მხარს უჭერენ მშვიდობას

18 თებერვალს ბაკურიანში მოეწყო არქიტექტორ სამთომოთხილამურეთა III საერთაშორისო შეხვედრის ოფიციალური გახსნა. ამ მაღალმთიან კურორტზე ისინი მიიწვიეს არქიტექტორთა საერთაშორისო სპორტულმა კლუბმა, სსრ კავშირისა და საქართველოს არქიტექტორთა კავშირებმა, რესპუბლიკის ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა.

საერთაშორისო კომპლექს „თანამგზავრის“ წინ მდებარე მოედანი მორთულია სამთო-სათხილამურო სპორტში ჩემპიონატის მონაწილე ქვეყნების — ბულგარეთის, პოლონეთის, უნგრეთის, სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთის რესპუბლიკებისა და ქალაქების სპორტული კლუბების დროშებით

სადღესასწაულო პარადის მონაწილეებთან შეხვედრისას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განყოფილების გამგემ დ. პერტენავამ, არქიტექტორთა საერთაშორისო სპორტული კლუბის პრეზიდენტმა, ქართველმა არქიტექტორმა ა. ჯაფარიძემ და სხვებმა აღნიშნეს, რომ ამ კლუბის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა განამტკიცოს ხალხების მეგობრობა და ურთიერთგაგება, იღვაწოს მშვიდობის საკეთილდღეოდ, იბრძოლოს ბირთვული ომის საფრთხის თავიდან აცილებისათვის.

შემთხვევით როდი აღევნებდნენ თვალყურს ბაკურიანის შეხვედრის მონაწილეები ასეთი დიდი ინტერესით „უბირთვო მსოფლიოსათვის, კაცობრიობის გადარჩენისათვის“ მოსკოვის საერთაშორისო ფორუმის მუშაობას, ისინი იწონებენ ფორუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის მიერ წარმოთქმულ სიტყვას. თეორიულ სემინარებზე და სადისკუსიო კლუბში აღინიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მსოფლიო საზოგადოებრიობის ფართო დიალოგს. თუ იფეთქებს ბირთვული ომი, — თქვეს ხუროთმოძღვრებმა, — ყოველივე, რაც ადამიანის ხელით, არქიტექტურული აზრით შექმნილა, ნანგრევებად იქცევა, ეს კი დაუშვებელია.

ჩემპიონატი იწყება 19 თებერვალს.

(საქინფორმი).

ფეხბურთი თებერვალში

„დინამო“ — „ვისლა“ 2:0, „გურია“ — „სიგმა“ 1:0

შავიზღვისპირეთში დაიწყო ფეხბურთელთა საერთაშორისო საწვრთნელი ტურნირი, რომელშიც მონაწილეობენ ჩვენი ქვეყნის უმაღლესი ლიგის გუნდები და ჩეხოსლოვაკიის ქალაქების ხებისა და ოლომოუცის „რუდა გვეზდა“ და „სიგმა“, პოლონეთის ქალაქ კრაკოვის „ვისლა“ და უნგრეთის დედაქალაქის ბუდაპეშტის „ჩეპელი“.

გუშინ თბილისის „დინამო“ შეხვდა კრაკოვის „ვისლას“ და გაიმარჯვა ანგარიშით 2:0. ბურთები გაიტანეს ცაავამ (მე-15 წუთზე) და კორღალიძემ (29).

„დინამოს“ ღირსებას იცავდნენ: გაბელია, სვანაძე, კეტაშვილი, კუდინოვი (ბარათაშვილი, 46), მალანია, რევიშვილი, აფციაური, კორღალიძე (ჟორდანია, 60), კაკილაშვილი (ბიგვავა, 68), ცაავა, ჩელებაძე (გურული, 46).

მატჩს სჯიდა მოსკოველი საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი ა. სპირინი.

ლანჩხუთის „გურია“ „სიგმას“ ეთამაშა. ეს მატჩიც ქართველ ფეხბურთელთა გამარჯვებით დამთავრდა — 1:0. 63-ე წუთზე ბურთი გაიტანა ფრიდონაშვილმა.

„გურიამ“ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: იმნაძე, მიქაბერიძე, მახარაძე, ე. თევზაძე, მ. თევზაძე, ფრიდონაშვილი, კოპალეიშვილი, ჩხაიძე, ტყებუჩავა, ხლუსი, მეგრელაძე. მატჩის მსაჯი იყო დონეცკელი რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი ვ. ზვიაგინცევი.

სხვა შეხვედრები: „დინამო“ (კიევი) — „რუდა გვეზდა“ 4:0, „დინამო“ (მოსკოვი) — „ჩეპელი“ 1:0.

მაია მესხია,
(„ლელოს“ ხაკ. კორ.).

საქართველოში გაიხსნა სპორტული ლატარიების პროპაგანდისა და რეალიზაციის პირველი ცენტრი. (წერილი ამ ცენტრის მუშაობის შესახებ იხილეთ მე-4 გვერდზე).

21 თებერვალს, შაბათს ცირკის სარბიელზე

თბილისის ცირკში გრძელდება სოფლებისა და ქალაქების რაიონების რესპუბლიკური პირველობა ქართულ ჭიდაობაში. შაბათს, 21 თებერვალს, ერთმანეთს შეხვდებიან: ბაზალეთი (დუშეთი) — დიღომი (თბილისი), წილკანი (მცხეთა) — თემქა (თბილისი), ბიოლგაწმინდა — ვაჟა (ხაშური).

შეხვედრები დაიწყება 12 სათზე.

7 მარტს, საღამოს 7 საათზე

რუსთაველის თეატრი—მარჯანიშვილის თეატრი

ამ ორი თეატრალური დასის საფეხბურთო კოლექტივების მომავალი შეხვედრის თაობაზე „ლელო“ უკვე წერდა. მატჩისთვის მოსამზადებელი ღონისძიებების ჩატარების შემდეგ შედგა ორივე გუნდის კაპიტნების — სოსო ლაღიძისა (რუსთაველის თეატრი) და ჯემალ მონიავას (მარჯანიშვილის თეატრი), ჩვენი გაზეთის (მატჩის ორგანიზატორი) და თბილისის სპორტის სასახლის (ასპარეზობის მასპინძელი) წარმომადგენელთა შეხვედრა. საერთო შეთანხმებით, **მატჩი მოეწყობა 7 მარტს თბილისის სპორტის სასახლეში. დასაწყისი 7 საათზე.**

ბილეთების წინასწარი გაყიდვა დაიწყო.

ᲫᲛᲐ ᲫᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ...

ᲭᲘᲠᲡᲐ ᲨᲘᲒᲐᲜ ᲒᲐᲛᲐᲒᲠᲔᲑᲐ...

ᲡᲢᲘᲥᲘᲐᲛ დასავლეთ საქართველოს ბევრი რაიონი დაიზარალა, მაგრამ ის, რაც ხობის რაიონში მოხდა...

ადიდებული რიონი კალაპოტიდან გადმოვიდა და წალეკა სოფლები საგვიჩიო, ჭალადიდი, პატარა ფოთი, შუა ხორგა... წყალს მიჰქონდა საცხოვრებელი სახლები, დამხმარე ნაგებობები, პირუტყვი და ფრინველი, სტიქია ემუქრებოდა ადამიანებს.

ქუდზე კაცი გამოვიდა განსაცდელში მყოფთა დასახმარებლად. ხობელებს მხარში ამოუდგნენ მეზობელი რაიონების მცხოვრებნიც. სტიქიის წინააღმდეგ ბრძოლაში ერთ-ერთი პირველი ჩაებნენ რესპუბლიკის სპორტსახკომის ფოთის სანიჩბოსნო ბაზისა (დირექტორი ალექსანდრე ჩხაიძე) და სპორტსაზოგადოება „დინამოს“ სანიჩბოსნო ბაზის თანამშრომლები (დირექტორი გ. გუჯაბიძე). მათ გამოცდილი სპორტსმენებით დაკომპლექტებული რამდენიმე მაშველი ჯგუფი ჩამოაყალიბეს.

ა. ჩხაიძე — „მოვარდნილ წყალთან ბრძოლის გამოცდილება, ცხადია, არ გვქონდა. ნიაღვარს ძლიერი ქარიშხალი დაემატა, მაგრამ ჩვენი ბიჭები არ დაბნეულან, საზრიანად და მამაცურად მოქმედებდნენ. განსაკუთრებით ივაქაცეს ა. კინტირიამ, რ. პეტროსიანმა და რ. ცხვიტარიამ. მათ ჯერ სატვირთო მანქანის სახურავზე შემდგარი 4 კაცი და სახლში დარჩენილი უმწეო მოხუცი იხსნეს, შემდეგ ხეზე ასული ორი ადამიანი გადაარჩინეს, დაღლილები ძლივს რომ იმაგრებდნენ თავს კენწეროზე.

ჩვენმა მაშველმა ჯგუფმა იმ ღამეს 12 კაცი გამოიყვანა სამშვიდობოს“.

გ. გუჯაბიძე — „საგვიჩიოში ღამით შევედით. გზის გაგნება ჭირდა, ეზოები არ ჩანდა. საბურავებს ცეცხლი წავუკიდეთ და ისე გავიკვლიეთ გზა. პირველ რიგში ბავშვები გავარიდეთ საშიშროებას, შემდეგ ისინი, ვისაც ყველაზე მეტად უჭირდა. აი, სად გამოგვადგა სპორტული წრთობა. სპორტის ოსტატმა ნიჩბოსნობაში მალხაზ მიქაძემ 10 კაცი გადაარჩინა დახრჩობას და საკუთარი თავი განსაცდელში ჩაიგდო — ძლიერ მორევში მოტორიანი ნავი გადაუბრუნდა. სიბნელეში გზა ვერ გაიგნო და ხეზე აცოცდა. ხეზე მჯდარმა კიდევ ერთი განწირული გადაარჩინა. იგი მეორე დღეს შვეულმფრენების დახმარებით იპოვეს. მალხაზმა აქაც ივაქაცა. შვეულმფრენში პირველად მის მიერ გადარჩენილი კაცი აუშვა, თავად კი კიდევ დიდხანს იცადა. 14 საათი მან ხეზე“ გაატარა“.

ფოთის წყალმაშველი სამსახურის უფროსმა, სპორტის ოსტატმა აკადემიურ ნიჩბოსნობაში ო. გვალიამ, თავისი რაზმის წევრებთან ერთად, რომლებიც ოთხი მოტორიანი ნავით მოქმედებდნენ, თორმეტი ადამიანის სიცოცხლე იხსნა.

იმ დღეს ხობელი მშრომელების დასახმარებლად „ვოდნიკის“ სანიჩბოსნო ბაზის (დირექტორი რომან გაბელაია) თანამშრომლებიც თავდაუზოგავად იბრძოდნენ — დაზარალებულები ავტომანქანებით გადაჰყავდათ.

ფოთის სანიჩბოსნო ბაზების თანამშრომლებსა და სპორტსმენებს პირველად არ გამოუჩენიათ ასეთი სიმამაცე — შავი ზღვისა და პალიასტომის ტბაზე მათ ბევრი საფრთხეში ჩავარდნილი ადამიანი უხსნიათ, მაგრამ წყალდიდობამ სულ სხვანაირი გამოცდა მოუწყო ამ ადამიანებს.

• • •

ასეთი წყალდიდობა უხუცეს ადამიანებსაც არ ახსოვთ, არც გადმოცემით გაუგიათ რამე. ვიცით მხოლოდ, რომ 735 წელს მურვან ყრუს შემოსევის დროს დასავლეთ საქართველოს მდინარეები ისე ადიდებულა, მომხდურთ ძლივს გაუღწევიათ. კოლხეთი მტრისგან და წყალდიდობისაგან განადგურებულა, მაგრამ აქ ცხოვრება მაინც არ შეწყვეტილა. აი, ახლაც ნაფუძარზე კვლავ დაბრუნდნენ ადამიანები. ცხოვრება გრძელდება — ამაგრებენ ღობეებს, ხურავენ საცხოვრებელ სახლებს, ტალახისაგან წმენდენ კარ-მიდამოს. აქა-იქ დაინთო ბუხრები, დაიყეფა ძაღლმა, იყივლა მამალმა.

საგვიჩიოში შევხვდით ჭალადიდის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის მუშას ლევან მაცაბიძეს. მისი ოჯახი ცხაკაიას სკოლა-ინტერნატშია დაბინავებული. „რა ვქნა, სხვაგან ვერ გავძლებ, — თქვა მან, — ისევ ჩემს ეზო-ყურეს დავუბრუნდები, ამაზე ნაყოფიერ მიწას სად ვნახავ. ასე ფიქრობენ ჩემი მეზობლებიც. მადლობა მინდა გადავუხადო პარტიის ხობის, ცხაკაიას, ფოთის, ჩხოროწყუს კომიტეტებს, რესპუბლიკის ყველა მშრომელს, მათი მხარდაჭერა ძალასა და ენერგიას გვმატებს, თავს არ დავზოგავთ და სოფელს მაინც აღვადგენთ. რა ვქნათ, ჭირსა შიგან გამაგრება გვმართებს“.

ნუგზარ ᲫᲕᲐᲜᲘᲐ,
„ლელოს“ ზონალური კორესპონდენტი.

ᲮᲣᲠᲐᲗᲘᲡ: ᲮᲝᲑᲘᲡ „ᲙᲝᲚᲮᲔᲗᲘᲡ“ ᲒᲣᲜᲓᲘᲡ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲔᲚᲔᲑᲘ ᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲐᲖᲔ.

ᲡᲢᲘᲥᲘᲐᲛ არც ხობის სპორტული ბაზები და მოედნები დაინდო. ძლიერმა ქარიშხალმა სახურავი ააგლიჯა სპორტდარბაზ „მართვეს“. წყალდიდობამ მოშალა კანალიზაცია, ახალი მოედნების მოწყობა მოუწევთ ჭალადიდელებსა და საგვიჩიოელებს.

სტიქიის წინააღმდეგ ბრძოლაში, სხვა კოლექტივებთან ერთად, ჩაებნენ რაიონის ფიზკულტურელები და სპორტსმენები. საგვიჩიოში დაზარალებულ სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის“ მწვრთნელს ჭიდაობაში რომან გულიაშვილის ოჯახს რაიონის სპორტკომიტეტმა და „კოლმეურნის“ რაისაბჭომ დახმარების ხელი გაუწოდეს.

გარდა ამისა, სპორტსკოლის, ინტერნატისა და საცურაო სპორტკომპლექს „იმედის“ თანამშრომლებმა № 700 ანგარიშზე გადარიცხეს 460 მანეთი. დაგეგმილია ამხანაგური შეხვედრა ფეხბურთში, რომლის შემოსავალი მთლიანად ჩაირიცხება დახმარების ფონდში. ეწყობა შაბათობები დაზარალებულთა კარმიდამოს აღსადგენად.

Ა. ᲡᲐᲜᲘᲫᲘᲫᲔ, Დ. ᲗᲣᲗᲣᲑᲔᲠᲘᲫᲔ.

● **ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ** „კოლმეურნის“ რესპუბლიკურ საბჭოს თავმჯდომარემ — ოთარ კალაძემ — გუშინ გვაცნობა: „ეს ესაა დამირეკა უკრაინის სპორტსაზოგადოება „კოლოსის“ („ურაოკაი“) თავმჯდომარემ ანატოლი უსენკომ, რომელმაც გადმოგვცა გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ უკრაინელი მეგობრები საქართველოში სტიქიური უბედურებისაგან დაზარალებული სოფლების აღსადგენად აგზავნიან საშენებლო მასალებს“.

● **ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ** სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებულმა მუშაკმა ივანე ბოჭორიძემ 200 მანეთი შეიტანა ხობის რაიონში წყალდიდობისგან დაზარალებული მოსახლეობის დასახმარებლად.

● **ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ** „ლოკომოტივის“ საგზაო საბჭომ მიიღო ცნობა იმის შესახებ, რომ ამავე საზოგადოების ერევნის, ლენინაკანისა და კიროვაკანის სპორტული ბაზების კოლექტივებმა გადაწყვიტეს 2-3 დღის ხელფასი გადარიცხონ № 700 ანგარიშზე.

● **ᲤᲣᲚᲣᲙᲘᲫᲘᲡ** რაიონის ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლის კოლექტივმა და თელავის ფიზკულტურულმა აქტივმა ორ-ორი დღის ხელფასი შეიტანეს დახმარების ფონდში.

● **ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚ** ორიენტირებაში ქუთაისის ნაკრები გუნდის უფროსმა მწვრთნელმა ბონდო ხვედელიძემ 100 მანეთი გაიღო, ამასთან იგი მზადაა მთელი ოჯახით ფიზიკურად დაეხმაროს დაზარალებულებს აღდგენით სამუშაოებში.

● **ᲮᲝᲑᲘᲡ** რაიონის ფიზკულტურული და სპორტული ორგანიზაციების ხელმძღვანელმა მუშაკებმა 2000 მანეთი შეიტანეს ამავე რაიონის სოფლების მოსახლეობის მატერიალური დახმარების ფონდში.

ᲡᲐᲑᲐᲕᲨᲕᲝ ᲑᲐᲦᲘᲓᲐᲜ ᲘᲬᲧᲔᲑᲐ...

ᲗᲐᲛᲐᲨᲝᲑᲔᲑᲘ ᲡᲣᲤᲗᲐ ᲰᲐᲔᲠᲨᲘ

ᲓᲘᲚᲘᲡ 8 საათია. დადიანების სასახლის წინ მდებარე საბავშვო ბაღიდან, რომელსაც ზუგდიდელები „გერის ბაღს“ ეძახიან, ბავშვების ჟრიამული არ ისმის, მხოლოდ ბაღის გამგე, ქეთო მეუნარგია და აღმზრდელები ფუსფუსებენ ეზოში.

შესრულდა თუ არა ცხრის ნახევარი, პატარებიც გამოჩნდნენ, სადაცაა დილის გამამხნევებელი ვარჯიშიც დაიწყება. ყველა თავის კარადაში კიდებს პალტოს და სპორტულად გამოწყობილი ნორჩები მუსიკის ხმაზე ვარჯიშს იწყებენ.

— ერთი, ორი, სამი... გამკლავი, ზემკლავი... იხტუნეთ — კარნახობს მასწავლებელი. პატარებიც ცდილობენ რაც შეიძლება მაღლა ახტნენ, ხელებსაც ენერგიულად იქნევენ, სახე უბრწყინავს მას, ვისაც მასწავლებელი შეაქებს.

აღმზრდელები ცარა კონდრატიუკი, დოდო ქარდავა, ეთერ აფაქიძე, დოდო ლუკავა ოთახში ავარჯიშებენ ბავშვებს. ოცდაათწუთიანი ვარჯიშის შემდეგ პატარები უფრო მადიანად საუზმობენ და მერე უფრო ხალისიანად თამაშობენ.

ცხრა საათზე ვარჯიში მთავრდება, მორიგეები კარადებს ამოწმებენ, ხომ ყველაფერი წესრიგშიაო და მერე დეიდა მერისაც ეხმარებიან ჭურჭლის ალაგებაში.

დაიწყო „გაკვეთილი“. პატარები გულისყურით ისმენენ აღმზრდელთა ნაამბობს, მერე ხატავენ საყვარელი ზღაპრის გმირებს, დედას, თამაშობენ და თან წამდაუწუმ საათს კითხულობენ, პირველ საათზე ხომ სპორტულ დარბაზში აქვთ მეცადინეობა. დარბაზი სპორტული ინვენტარით და სათამაშოებითაა სავსე.

სამი-ოთხი წლის ბავშვები ცდილობენ ავიდნენ შვედურ კედელზე, გაიარონ დვირზე, უფრო მოზრდილები კი ხან ფეხბურთს თამაშობენ, ხან ფრენბურთს, კალათშიც ცდილობენ ბურთის ჩაგდებას...

ექიმი მშვიდადაა, რადგან ბავშვები ავად არ ხდებიან, მაგრამ ვარჯიშებს და სპორტულ თამაშებს მაინც ესწრება. ამ დარბაზში ხშირად ეწყობა შეჯიბრებები. ნეტავი გაჩვენათ, რა თავგამოდებით იცავენ პატარები თავიანთი გუნდის ღირსებას.

კარგ ამინდში ბავშვები ეზოში გაჰყავთ აღმზრდელებს. ეზოში უფრო ლაღობენ ნორჩები. დაობიან, რგოლებში ძვრებიან, სრიალებენ, მათი ჟრიამული აცოცხლებს იქაურობას.

ჰაერი, მოძრაობა, სპორტული თამაშები ახალისებს პატარებს.

ᲛᲐᲜᲐᲜᲐ ᲡᲝᲩᲔᲚᲘᲐ.
„ლელოს“ სპეც. კორ.

ᲖᲣᲒᲖᲓᲘᲓᲘ.

„ᲥᲐᲠᲮᲐᲜᲐ — ᲥᲐᲠᲮᲐᲜᲐᲡ“!

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებელი“ და სსრკ 50 წლისთავის სახელობის საწარმოო გაერთიანების შრომითი კოლექტივები მოწინავე საწარმოები არიან. შრომელთა შორის ფიზკულტურისა და სპორტის დანერგვისათვის მისაბაძად მუშაობენ ამ საწარმოების სპორტკლუბები „მეგობრობა“ და „უშბა“.

ახლახან გადაწყდა, სპორტკლუბებმა მეგობრული სპორტული თამაშები გამართონ დევიზით „ქარხანა-ქარხანას!“ და ამ ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად მუშა-მოსამსახურეებთან ერთად მათი ოჯახის წევრებიც მიიზიდონ.

სპორტული თამაშები „ქარხანა ქარხნის წინააღმდეგ“ კვირას „უშბას“ საცურაო აუზში საზეიმოდ გაიხსნა, აქვე გაიმართა შეჯიბრება ცურვაში, სადაც „უშბამ“ გაიმარჯვა.

ცურვის გარდა თამაშების პროგრამაში სპორტის ცხრა სახეობაა (ძიუდო, ქართული ჭიდაობა, ჭადრაკი, შაში, ფრენბურთი, კალათბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, მინიფეხბურთი და ფეხბურთი).



ᲚᲐᲡᲢᲘᲡ ᲬᲠᲔᲨᲘ

ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚ

ᲐᲚᲛᲖᲠᲓᲔᲚᲘᲡ, ᲛᲨᲝᲑᲚᲘᲡ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲘᲒᲘ ᲗᲣ ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲘ, ᲥᲪᲔᲕᲐ ᲡᲐᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲝᲗ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ. ᲔᲡ ᲣᲓᲐᲕᲘ ᲭᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲔᲑᲐᲐ, ᲠᲐᲡᲐᲪ ᲖᲝᲒᲯᲔᲠ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲣᲤᲠᲝᲡᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲘᲕᲘᲬᲧᲔᲑᲓᲐ. ᲘᲜᲘᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲯᲝᲗᲐ ᲑᲠᲘᲒᲐᲓᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲑᲨᲘ ᲔᲠᲘᲝᲜᲓᲜᲔᲚ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲡ ᲣᲨᲚᲘᲓᲜᲔᲚ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲡᲒᲚᲔᲚᲝᲑᲐᲡ. ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲯᲝᲗᲐ ᲑᲠᲘᲒᲐᲓᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲡᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲚᲐᲓ ᲐᲜᲐᲢᲝᲚᲘ ᲣᲡᲔᲜᲙᲝᲛ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲒᲐᲓᲛᲝᲛᲒᲕᲪᲐ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐ ᲘᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ, ᲠᲝᲛ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲔᲚᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲡᲢᲘᲥᲘᲣᲠᲘ ᲣᲑᲔᲓᲣᲠᲗᲔᲑᲘᲡᲒᲐᲜ ᲓᲐᲖᲐᲠᲐᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲝᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲦᲓᲒᲔᲜᲐᲓ ᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲡ“.

● ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებულმა მუშაკმა ივანე ბოჭორიძემ 200 მანეთი შეიტანა ხობის რაიონში წყალდიდობისგან დაზარალებული მოსახლეობის დასახმარებლად.

● ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ „ლოკომოტივის“ საგზაო საბჭომ მიიღო ცნობა იმის შესახებ, რომ ამავე საზოგადოების ერევნის, ლენინაკანისა და კიროვაკანის სპორტული ბაზების კოლექტივებმა გადაწყვიტეს 2-3 დღის ხელფასი გადარიცხონ № 700 ანგარიშზე.

● ᲤᲣᲚᲣᲙᲘᲫᲘᲡ რაიონის ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლის კოლექტივმა და თელავის ფიზკულტურულმა აქტივმა ორ-ორი დღის ხელფასი შეიტანეს დახმარების ფონდში.

● ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚ ორიენტირებაში ქუთაისის ნაკრები გუნდის უფროსმა მწვრთნელმა ბონდო ხვედელიძემ 100 მანეთი გაიღო, ამასთან იგი მზადაა მთელი ოჯახით ფიზიკურად დაეხმაროს დაზარალებულებს აღდგენით სამუშაოებში.

● ᲮᲝᲑᲘᲡ რაიონის ფიზკულტურული და სპორტული ორგანიზაციების ხელმძღვანელმა მუშაკებმა 2000 მანეთი შეიტანეს ამავე რაიონის სოფლების მოსახლეობის მატერიალური დახმარების ფონდში.

ᲐᲚᲛᲖᲠᲓᲔᲚᲘᲡ, ᲛᲨᲝᲑᲚᲘᲡ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲘᲒᲘ ᲗᲣ ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲘ, ᲥᲪᲔᲕᲐ ᲡᲐᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲝᲗ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ. ᲔᲡ ᲣᲓᲐᲕᲘ ᲭᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲔᲑᲐᲐ, ᲠᲐᲡᲐᲪ ᲖᲝᲒᲯᲔᲠ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲣᲤᲠᲝᲡᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲘᲕᲘᲬᲧᲔᲑᲓᲐ. ᲘᲜᲘᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲯᲝᲗᲐ ᲑᲠᲘᲒᲐᲓᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲑᲨᲘ ᲔᲠᲘᲝᲜᲓᲜᲔᲚ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲡ ᲣᲨᲚᲘᲓᲜᲔᲚ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲡᲒᲚᲔᲚᲝᲑᲐᲡ. ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲯᲝᲗᲐ ᲑᲠᲘᲒᲐᲓᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲡᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲚᲐᲓ ᲐᲜᲐᲢᲝᲚᲘ ᲣᲡᲔᲜᲙᲝᲛ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲒᲐᲓᲛᲝᲛᲒᲕᲪᲐ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐ ᲘᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ, ᲠᲝᲛ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲔᲚᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲡᲢᲘᲥᲘᲣᲠᲘ ᲣᲑᲔᲓᲣᲠᲗᲔᲑᲘᲡᲒᲐᲜ ᲓᲐᲖᲐᲠᲐᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲝᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲦᲓᲒᲔᲜᲐᲓ ᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲡ“.

● ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებულმა მუშაკმა ივანე ბოჭორიძემ 200 მანეთი შეიტანა ხობის რაიონში წყალდიდობისგან დაზარალებული მოსახლეობის დასახმარებლად.

● ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ „ლოკომოტივის“ საგზაო საბჭომ მიიღო ცნობა იმის შესახებ, რომ ამავე საზოგადოების ერევნის, ლენინაკანისა და კიროვაკანის სპორტული ბაზების კოლექტივებმა გადაწყვიტეს 2-3 დღის ხელფასი გადარიცხონ № 700 ანგარიშზე.

● ᲤᲣᲚᲣᲙᲘᲫᲘᲡ რაიონის ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლის კოლექტივმა და თელავის ფიზკულტურულმა აქტივმა ორ-ორი დღის ხელფასი შეიტანეს დახმარების ფონდში.

● ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚ ორიენტირებაში ქუთაისის ნაკრები გუნდის უფროსმა მწვრთნელმა ბონდო ხვედელიძემ 100 მანეთი გაიღო, ამასთან იგი მზადაა მთელი ოჯახით ფიზიკურად დაეხმაროს დაზარალებულებს აღდგენით სამუშაოებში.

● ᲮᲝᲑᲘᲡ რაიონის ფიზკულტურული და სპორტული ორგანიზაციების ხელმძღვანელმა მუშაკებმა 2000 მანეთი შეიტანეს ამავე რაიონის სოფლების მოსახლეობის მატერიალური დახმარების ფონდში.

ᲔᲡ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲘᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ, ᲕᲐᲙᲘᲡ ᲡᲐᲪᲣᲠᲐᲝ ᲐᲣᲖᲨᲘ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ. ᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲜᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲭᲐᲑᲣᲙᲗᲐ II ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲘᲗ ᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲝᲛᲓᲔᲜᲔᲡ, ᲐᲡᲔ ᲠᲝᲛ, ᲔᲠᲗᲓᲠᲝᲜᲣᲚᲐᲓ ᲝᲠ ᲤᲠᲝᲜᲢᲖᲔ ᲘᲑᲠᲫᲝᲚᲓᲜᲔᲚ. ᲡᲐᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲝᲛᲓᲔ ᲨᲔᲘᲙᲠᲑᲜᲔᲚ: ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ. ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲡ „ᲤᲝᲚᲐᲓᲘᲡ“, ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘᲡ, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ, ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲝᲩᲣᲛᲘᲡ „ᲓᲘᲜᲐᲛᲝᲡ“ ᲜᲝᲠᲩ ᲬᲧᲐᲚᲑᲣᲠᲗᲔᲚᲗᲐ ᲒᲣᲜᲓᲔᲑᲘ. ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲒᲐᲠᲔᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲝᲜᲓᲜᲔᲚ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ „ᲑᲣᲠᲔᲕᲔᲡᲢᲜᲘᲙᲘᲡᲐᲡ“ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲒᲣᲜᲓᲔᲑᲘᲡ ᲬᲧᲐᲚᲑᲣᲠᲗᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲤᲝᲜᲓᲨᲘ.

ᲭᲐᲑᲣᲙᲗᲐ II ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲘᲗ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲒᲣᲜᲓᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲓᲐᲣᲛᲐᲠᲪᲮᲑᲔᲚᲐᲓ ᲩᲐᲢᲐᲠᲐ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲔᲑᲘ ᲓᲐ 10 ᲥᲣᲚᲐ ᲛᲝᲐᲒᲠᲝᲕᲐ. ᲛᲔᲝᲠᲔ ᲘᲧᲝ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲣᲜᲓᲘ (6 ᲥᲣᲚᲐ), ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲐᲓᲒᲘᲚᲖᲔ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲡ „ᲤᲝᲚᲐᲓᲘᲡ“ ᲬᲧᲐᲚᲑᲣᲠᲗᲔᲚᲔᲑᲘ ᲒᲐᲕᲘᲓᲜᲔᲚ (4). ᲛᲝᲛᲓᲔᲕᲜᲝ ᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲘ ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡᲐ (2) ᲓᲐ ᲡᲝᲩᲣᲛᲘᲡ ᲓᲘᲜᲐᲛᲝᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲓᲐᲘᲙᲐᲕᲔᲡ. ᲡᲐᲛᲬᲣᲮᲐᲠᲝᲓ, ᲐᲛ ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲛᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲬᲐᲐ�გᲝ.

ᲘᲛᲘᲡ �გᲐᲛᲝ, ᲠᲝᲛ ᲭᲐᲑᲣᲙᲗᲐ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲘᲗ ᲒᲐ-

მწვრთნელთა თათბირი

საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის სააქტო დარბაზში სპორტსახკომის ფეხბურთის სამმართველომ და ფეხბურთის რესპუბლიკურმა ფედერაციამ გუშინ ჩაატარეს თათბირი, რომელზედაც მოიწვიეს საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატში მონაწილე გუნდების მწვრთნელები, მსაჯები, რესპუბლიკის საფეხბურთო აქტივი.

თათბირზე განიხილეს საქართველოს 1987 წლის საფეხბურთო ჩემპიონატის დებულება, ისაუბრეს ჩვენი საფეხბურთო ცხოვრების უმნიშვნელოვანეს პრობლემებზე, დასახეს საქმიანი ღონისძიებანი.

ახალგაზრდული გუნდები ითამაშებენ თბილისში

ბაკოს მახლობლად, ქ. სუმგაითის სტადიონზე გაიმართა სსრ კავშირისა და ბულგარეთის ახალგაზრდა ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების ამხანაგური მატჩი. ეს გუნდები ემზადებიან ევროპის ახალგაზრდული საფეხბურთო ჩემპიონატისთვის.

ანგარიშით 2:1 თამაში მოიგეს ბულგარელმა ფეხბურთელებმა.

სსრ კავშირის ახალგაზრდული ნაკრები მეორე საკონტროლო მატჩს გამართავს შვეიცის ნაკრებთან. ეს შეხვედრა აპრილში გაიმართება თბილისში.

„რივერ-პლეიტი“ — „სპარტაკი“ 1:1

მოსკოვის „სპარტაკის“ ფეხბურთელები სტუმრად იმყოფებიან არგენტინაში, სადაც მონაწილეობენ ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში „მარ-დელ-პლატას თასზე“.

პირველი მატჩი სპარტაკელებს არგენტინის ცნობილ კლუბ „რივერ პლეიტთან“ ჰქონდათ. ისინი მე-19 წუთზე დაწინაურდნენ (ბურთი გაიტანა პასულკომ), შესვენების შემდეგ კი ანგარიში 11-მეტრიანით გაათანაბრა ერნანდესმა.

„სპარტაკი“ დღეს შეხვდება არგენტინის სხვა ცნობილ გუნდს „ბოკა ხუნიორსს“.

საქართველოს XII ჩემპიონატი ასუჯრედიან შაშში

ბოლო ტურში გადაწყდა...

შეჯიბრებაში თავიდანვე სამტრედიელი მოსწავლეები ლია ღირდალაძე, ლალი ჩომახიძე და თბილისელი 10 წლის მადონა შალამბერიძე დაწინაურდნენ. შემდეგ მათ თბილისელი ოსტატობის კანდიდატები ლიანა ბეჟაშვილი და ნატო აგლაძეც წამოეწივნენ. დასკვნით ეტაპზე სწორედ მათ შორის გაიმართა გადამწყვეტი ბრძოლა საპრიზო ადგილისთვის.

შეჯიბრებაში, რომელიც ქუთაისში გაიმართა, ამჯერად არ მონაწილეობდნენ სპორტის ოსტატი მაია მოსიძე და რესპუბლიკის შარშანდელი ჩემპიონი იამზე წვერავა. ამიტომ, აქ შედარებით თანაბარი ძალის მქონე მოშაშეებმა მოიყარეს თავი. სულ 14 ოსტატობის კანდიდატი შეიკრიბა, მათგან 7-8 მოშაშეს მაინც ჰქონდა გამარჯვების იმედი. ბრძოლა პირველობისთვის თავიდანვე გამძაფრდა, არცაა გასაკვირი, პირველ ადგილზე გასული სპორტსმენი, რესპუბლიკის ჩემპიონობასთან ერთად, საკავშირო ჩემპიონატის ნახევარფინალური ტურნირის ერთადერთ საგზურს ისაკუთრებდა (ეს ტურნირი მარტში, ლენინგრადში გაიმართება).

გამარჯვებულის გამოცნობა შეუძლებელი იყო. ბოლოსწინა, XII ტურში ნ. აგლაძემ დაამარცხა ძირითადი მეტოქე ლ. ჩომახიძე, შემდეგ ი. ბეჟაშვილი, 10,5 ქულა მოაგროვა და მეტოქეებისთვის მიუწვდომელი გახდა.

გათამაშების ცხრილში მონაწილენი საბოლოოდ ასეთი თანმიმდევრობით განლაგდნენ: I. ნატო აგლაძე (თბილისი) — 10,5, II. ლია ღირდალაძე (სამტრედია) — 10, III. ლალი ჩომახიძე (სამტრედია) — 9,5, IV-V. ლიანა ბეჟაშვილი, მადონა შალამბერიძე (ორივე — თბილისი) — 9-9, VI. თამარ გრიგოლია — 8,5, VII. მანანა მასპინძელაშვილი — 6,5, VIII. ელენე ტატიშვილი — 5,5. IX-X. დიანა ავადია (ყვავილა — თბილისი), ირმა ბეჟაშვილი (ქუთაისი) — 5-5, XI. ზეინაბ დრიაევა (თბილისი) — 4,5, XII. ნატო ურუშაძე (მახარაძე) — 4, XIII. ლიანა ორკოშნელი (საგარეჯო) — 2,5, XIV. ზიტა დანელია (რუსთავი) — 1,5.

შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯმა, სპორტის ოსტატმა **სერგო თომაშვილმა** ჩვენთან საუბარში თქვა:

— ამ, შედარებით თანაბარი ძალის მეტოქეთა ჰიდილში გაცილებით სტაბილურად ითამაშა რესპუბლიკის მრავალგზის ჩემპიონმა ნატო აგლაძემ. მან მხოლოდ ერთი პარტია წააგო, ისიც საყიმო პოზიციაში, გრიგოლიასთან, ცხრა ტურში მხოლოდ ერთი პარტია დაამთავრა ყაიმით და გაიმარჯვა კიდეც, მაგრამ პირველი ადგილის ბედი ბოლო ტურში გადაწყდა, როცა ნატომ ქუთაისელი ირმა ბეჟაშვილი დაამარცხა.

მეორე და მესამე ადგილებზე გასული მეათეკლასელები ლია ღირდალაძე და ლალი ჩომახიძე პერსპექტიული მოშაშეები არიან, თუმცა ჯერჯერობით ბევრ შეცდომებს უშვებენ თამაშში.

ტურნირის მშვენება იყო ნორჩების — 7 წლის დიანა ავადიას, 11 წლის ზეინაბ დრიაევას და 10 წლის მადონა შალამბერიძის შემოქმედებითი თამაში.

თბილისის 23-ე საშუალო სკოლის მე-4 კლასის მოსწავლე მადონა შალამბერიძე ადრე ჰადრაკით იყო გატაცებული, მხოლოდ ორი წელია, რაც 100-უჯრედიან შაშში ვარჯიშობს და წარმატებითაც. ერთ-ერთ ბოლო ტურში ორკოშნელთან რომ არ დამარცხებულიყო, საპრიზო ადგილზე გავიდოდა. 136-ე საშუალო სკოლის მე-2 კლასის მოსწავლემ დიანა ავადიამ ლამაზი, კომბინაციური თამაშით მიიქცია ყურადღება. ერთი სიტყვით, მოდის საიმედო თაობა, რომელიც, ვფიქრობთ, მალე იტყვის თავის სიტყვას. აღსანიშნავია, რომ ეს ნიჭიერი გოგონები თბილისის ოქტომბრის რაიონის სპორტსკოლაში მეცადინეობენ ქერდიყოშვილთან და რეხვიაშვილთან.

მეტს მოველოდით თბილისის ჩემპიონ ელენე ტატიშვილისაგან. თუმცა იგი სესიების დამთავრების შემდეგ ჩამოვიდა ქუთაისში და დაღლა ეტყობოდა. იგივე შეიძლება ითქვას თბილისში აღზრდილ, ამჯერად ქუთაისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტზე ირმა ბეჟაშვილზე. საპრიზო ადგილზე გასვლა შეეძლო ირმას დას ლიასაც, მაგრამ იგი ბოლო ტურში დამარცხდა.

სამწუხაროდ, ქუთაისმა დათმო სანაქებო ტრადიციები. ახლო წარსულში იგი ერთ-ერთი წამყვანი საშაშო ცენტრი იყო, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი იამზე ტყაბლაძე, ნაკრების წევრები შალამბერიძე, ხარებავა, ლოსაბერიძე, მუშკუდიანი და სხვები ძლიერი სპორტსმენები იყვნენ, მაგრამ ჯგუფები თანდათან დაიხურა და ქუთაისელები რესპუბლიკურ ჩემპიონატებსა და სხვა რანგის შეჯიბრებებს გამოეთიშნენ. ქუთათურები აღადგენენ ტრადიციას და კვლავ მოწინავეთა რიგებში ჩადგებიან. ამის თქმის უფლებას მაძლევს აქ გატარებული 14 დღე. დიახ, ამ თამაშს აქ ბევრი ქომაგი ჰყავს.

ვსარგებლობ შემთხვევით და შეჯიბრების მონაწილეების სახელით მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ქალაქის სპორტკომიტეტს, საჭადრაკო-საშაშო კლუბ „მაიას“ ხელმძღვანელებს ტურნირის კარგად ორგანიზებისათვის.

თამაზ ხარაბაძე,
„ლელოს“ საკუთარი კორესპონდენტი.

ქუთაისი.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

ზუსტი სროლის ფასი

წარუმატებლად დაიწყო უმაღლესი ლიგის კალათბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის ფინალური ტურნირი რიგის ვეფ-მა. სამი შეხვედრა საკუთარ მოედანზე და სამი დამარცხება. შინ ლატვიელები ამდენი ქულის დაკარგვას, ცხადია, არ ფიქრობდნენ.

განსაკუთრებით მძაფრი და დაძაბული ბრძოლით აღინიშნა მათი მატჩი თბილისის „დინამოსთან“. პირველი ნახევარი ლატვიელმა კალათბურთელებმა 4 ქულით მოიგეს — 33:29. ეს, რა თქმა უნდა, არ იყო საკმარისი საბოლოო გამარჯვებისთვის, მით უფრო, რომ დინამოელები მაქსიმალური მონდომებითა და თავგანწირვით თამაშობდნენ და სრულებით არ აპირებდნენ ინიციატივის დათმობას.

შესვენების შემდეგ ახალი ძალით გაჩაღდა ბრძოლა და დიდხანს გაუგებარიც იყო ვის მხარეს გადაიხრებოდა სასწორი. შეხვედრის უკანასკნელ წამებზე ვეფ-ი ორი ქულით დაწინაურდა (65:63) და თითქოს გაინაღდა კიდეც გამარჯვება, მაგრამ ბრძოლას საბოლოო წერტილი მაინც გელა დარსაძემ დაუსვა. ექვსმეტრიანი ზონის გარედან ზუსტად ნასროლმა ბურთმა „დინამოს“ 3 ქულა და მეტად სასურველი გამარჯვება მოუტანა — 66:65.

გათამაშების ცხრილი

	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.
ცსკა	29	24	5	2782-2858	53
„უალგირისი“ (კაუნასი)	30	22	8	2633-2425	52
„დინამო“ (თბილისი)	29	17	12	2283-2362	46
„სპარტაკი“ (ლენინგ.)	29	16	13	2391-2368	45
„შახტიორი“ (დონეცკი)	29	14	15	2333-2387	43
ვეფ (რიგა)	30	13	17	2632-2722	43

ევროპის ტურნირები კალათბურთში

იქნება თუ არა საკმარისი?

მოსკოვი. ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების გადამწყვეტი მატჩების პერიოდი დადგა. პირველ ნახევარფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ცსკა და იტალიის „სკავოლინი“. დაძაბული ბრძოლა მოსკოველებმა მოიგეს — 107:105 (57:54).

ცსკა-ში ყველაზე შედეგიანი მოთამაშე ტარაკანოვი იყო (29 ქულა), იტალიელთა შორის კი დევისი (31 ქულა).

გამარჯვება ძლიერ მეტოქესთან, რა თქმა უნდა, სასიხარულოა, მაგრამ ეს წარმატება ფინალში გასვლის საშუალებას ჯერ კიდევ არ იძლევა. საქმე ისაა, რომ 24 თებერვალს ეს გუნდები განმეორებით მატჩში ერთმანეთს პესაროში შეხვდებიან. იტალიაში წარმატების მიღწევა კი არც ისე იოლი საქმე იქნება. ამიტომ ცსკა-ს პირველი შეხვედრა ქულათა უფრო დიდი სხვაობით უნდა მოეგო.

ლიონი. აქ გაიმართა ნახევარფინალისტთა მეორე წყვილის შეხვედრა. საფრანგეთის „ვილერბანი“ ზაგრების (იუგოსლავია) „ციბონას“ მასპინძლობდა. შეხვედრის ბედი ფაქტიურად პირველსავე ტაიმში გადაწყდა. იუგოსლავიელებმა ძლიერად ჩაატარეს მატჩის ეს მონაკვეთი და 17-ქულიან უპირატესობას მიაღწიეს.

მეორე ნახევარი უფრო თანაბარი ბრძოლით აღინიშნა. „ციბონამ“ შეინარჩუნა უპირატესობა და გაიმარჯვა — 98:82.

...ეზი... თამაშგარე მდგომარეობაში

...ართულ ასპარეზობაში თითოეულ ...ალს მხოლოდ თითო გუნდის გა...ყვანის უფლება ჰქონდა და ამი...ომაც თბილისელი დინამოელები ...ქართველოს ჭაბუკ წყალბურ...ელთა პირველობაში მონაწილეობ...ნენ.

...საინტერესოა, რომ დინამოელთა ...ა თბილისის განათლების სამმართ...ველოს წყალბურთელთა შეუპოვარი ...ბრძოლის გამო შეჯიბრება ერთი ...ღით გაგრძელდა. ასპარეზობის ბო...ლო დღეს ეს გუნდები ერთმანეთის ...ირისპირ ქულათა თანაბარი მარა...ით დადგნენ, მათი პაექრობა ფრედ ...ამთავრდა და გამარჯვებულის გამო...ვლენად კიდევ ერთი შეხვედრის ...ტარება გახდა საჭირო. ამ შეხვე...დრამ, რომელიც კვირას გაიმართა, დიდი ინტერესი გამოიწვია და ბევრი მაყურებელიც მიიზიდა.

მატჩი მეტად დრამატულად წარიმართა. ანგარიში დინამოელებმა გახსნეს და მეტოქე მდევრის როლში აღმოჩნდა, ანგარიშის გათანაბრებას დინამოელთა დაწინაურება მოსდევდა. შეხვედრის დამთავრებამდე რამდენიმე წამით ადრე ანგარიში თანაბარი იყო — 9:9. საქმეს ისეთი პირი უჩანდა, რომ გამარჯვებულის გამოსავლენად პენალტების სერიის ჩატარება გახდებოდა საჭირო, მაგრამ სწორედ ამ დროს გაიტანეს განათლების სამმართველოს წყალბურთელებმა გადამწყვეტი ბურთი და გაიმარჯვეს.

ამ გუნდმა, როგორც იტყვიან, ერთდროულად ორი კურდღელი დაიჭირა—ჭაბუკთა რესპუბლიკური სპორტული თამაშების ჩემპიონიც გახდა და საქართველოს ჭაბუკთა პირველობაშიც გაიმარჯვა.

საქართველოს პირველობაში მეორე იყო თბილისის „დინამო“ (8 ქულა), მესამე — ქუთაისის განათლების განყოფილების გუნდი (6). მომდევნო ადგილებზე გავიდნენ: რუსთავის „ფოლადი“ (4), ბათუმისა (2) და სოხუმის გუნდები.

გამარჯვებული გუნდის ღირსებას იცავდნენ: კოპალეიშვილი, გელაშვილი, ოსიპოვი, ნაკაიძე, გაბიძაშვილი, კეკელიშვილი, მარგოშვილი, მალიავა, ურუშაძე, ასათიანი, გურეშიძე, გოგიტიძე და უჯმაჯურიძე.

შეჯიბრების შემდეგ საქართველოს სპორტსახკომის მთავარ მწვრთნელს ჯიმშერ თორთლაძეს ვესაუბრეთ.

— თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი წყალბურთელების საერთო კლასი ამაღლდა, — გვითხრა მთავარმა მწვრთნელმა. — თითო-ოროლა პერსპექტიული წყალბურთელი თითქმის ყველა გუნდშია. ეს მარტო ჩემი აზრი არ გახლავთ. განსაკუთრებით გვახარებს რუსთაველთა წინსვლა. ამ ქალაქში წყალბურთი რამდენიმე წლის წინათ დაინერგა და რუსთაველები უკვე წარმატებით ასპარეზობენ. ამ შეჯიბრებაში გუნდის კარის დარაჯმა რამაზ ღუდუშაურმა საუკეთესო მეკარისთვის დაწესებული სპეციალური პრიზი მოიპოვა. საუკეთესო მოთამაშისთვის დაწესებული პრიზები მიიღეს ქუთაისელმა ბესიკ გოგიშვილმა, საქართველოს მოსწავლეთა ნაკრების წევრმა ზვიად დავითიანმა და თბილისელმა დინამოელმა ნოდარ ჩოლარიამ.

აღსანიშნავია, რომ შეჯიბრების მონაწილეთაგან ჩოლარია იყო ერთადერთი წყალბურთელი, რომელმაც საკავშირო სპარტაკიადაზე თანაგუნდელებთან ერთად ვერცხლის მედალი მოიპოვა.

საქართველოს პირველობაზე კონკურსგარეშე გამოსული გუნდების წყალბურთელები ასაკით უფროსები იყვნენ და ამის გამო უფრო ძლიერნიც. უძლიერესებთან პაექრობა კი მუდამ სასარგებლოა. თავის მხრივ, კონკურსგარეშე მოასპარეზე გუნდებისთვის ეს შეჯიბრება ერთგვარი მოსამზადებელი ეტაპი იყო.

ავთანდილ გურასაშვილი.

თბილიხის განათლებიხ სამმართველოს წყალბურთელთა გუნდი.

გენადი ხანაიას ფოტო.



...არბიელზე არიან თბილისის „დი...ამოსა“ და განათლების სამმართ...ველოს წყალბურთელები.

ავტორის ფოტო.

ცენტრი-საჭირო და აუცილებელი

„სპორტლოტოს“ მოყვარულთა უკეთ მომსახურების მიზნით, სპორტული ლატარიების საქართველოს რესპუბლიკურმა სამმართველომ ჩვენს დედაქალაქში შექმნა სპორტული ლატარიების პროპაგანდისა და რეალიზაციის პირველი ცენტრი.

ჩვენი კორესპონდენტი ესაუბრა სპორტული ლატარიების საქართველოს რესპუბლიკური სამმართველოს უფროსს გივი ზარდიაშვილს:

● **ბატონო გივი, რას გვეტყვით საინფორმაციო ცენტრის მუშაობის შესახებ?**

— ცენტრის ჩამოყალიბებაში დიდი დახმარება გაგვიწია რესპუბლიკის სპორტკომიტეტმა. ცენტრის ჩამოყალიბება აუცილებელი იყო არა მარტო თამაშის მოყვარულთათვის, არამედ ჩვენთვისაც, რადგან სწორედ ამ პირობებში შეიძლება „სპორტლოტოს“ ბილეთების „ბე“ ნაწილის მიღება და ახალი ლატარიის „სპორტპროგნოზის“ ჩატარება.

ანალოგიური ცენტრები ჩვენს რესპუბლიკაში არის მხოლოდ ქუთაისში და ბათუმში, მაგრამ ისინი იქაც განყოფილებებთან მდებარეობენ და არა ხალხმრავალ ადგილებში, როგორც ამას წესი მოითხოვს.

ქ. სოხუმის სპორტული ლატარიების განყოფილებაც სპორტკომიტეტთან ერთად ერთ ოთახშია შეხიზნული. იგივე მდგომარეობაა რუსთავის სააგენტოშიც, რომელიც „მეტალურგის“ სტადიონზე მდებარეობს.

ამ ცენტრებს მხოლოდ ბილეთების გასაღება როდი ევალებათ. სწორედ აქ უნდა გააცნონ თამაშის მოყვარულებს ლატარიის თამაშის ჩატარების პირობები, მიაწოდონ ინფორმაციები სპორტული ღონისძიებებისა და სპორტლოტოს ტირაჟების შესახებ.

ცენტრების მთავარი ამოცანაა მიიზიდონ რაც შეიძლება მეტი თამაშის მოყვარული იმ ლატარიაში მონაწილეობის მისაღებად, რომლის დევიზია „სპორტლოტო-სპორტისთვის“.

● **ჩვენი გაზეთის მკითხველებს უკვე გავაცანით სპორტული ლატარიების ჩატარების წესში მომხდარი ზოგიერთი ცვლილება. როგორ მიიღეს იგი მოთამაშეებმა?**

— ვფიქრობ, რომ თამაშის მოყვარულნი კმაყოფილნი დარჩნენ. ამას ადასტურებს „სპორტლოტოს“ ბილეთების რეალიზაციის მაღალი დონე, განსაკუთრებით 10-ტირაჟიანი ბილეთებისა, რომელიც სულ უფრო პოპულარული ხდება. ახალი წლიდან ხომ მას, ვინც 10-ტირაჟიანი ბილეთებით ერთი ტირაჟის ერთ ვარიანტში მაქსიმალურ მოგებას მიიღებს (10.000 მან.) უფლება ეძლევა ურიგოდ შეიძინოს ავტომანქანა „ვოლგა“ გაზ-24-10. აღსანიშნავია, რომ ერთი ასეთი მოგება უკვე გამოცხადდა მე-3 ტირაჟში ქ. თბილისში. „ყიგულის“ ვაზ-2107 მარკის ურიგოდ მიღება შეეძლება ყველას, ვინც „45-იდან 6“, „36-იდან 5“ ერთტირაჟიანი ბილეთის ერთი ვარიანტით მაქსიმალურ მოგებას მიიღებს. გულდაწყვეტილნი არ დაგვრჩებიან ისინიც, ვინც „სპორტლოტო“ „45-დან 6“ ან „36-დან 5“ შესაბამისად 6 ან 5 ნომერს გამოიცნობს, მაგრამ თუ მოგება 10 000 მანეთზე ნაკლები აღმოჩნდება, მათთვის გაგრძელდება რესპუბლიკური სამმართველოს მიერ ადრე გამოცხადებული კონკურსი, რომელშიც „ყიგულის“ ვაზ-21063 და სხვადასხვა მოდიფიკაციის 40 ავტომანქანა გათამაშდება.

შეღავათები ეძლევათ მათაც, ვინც ლატარია „სპორტპროგნოზში“ მაქსიმალურ მოგებას მიიღებს. ისინი ურიგოდ შეიძენენ ავტომანქანა „ყიგულს“ ვაზ-2107.

● **თამაშის ზოგიერთი მოყვარული ამტკიცებს, რომ სატირაჟო ბურთულების დამაგნიტება ლოტოტრონის უჯრედზე ელექტრომაგნიტის მეშვეობით არც ისე ძნელია...**

— სატირაჟო ბურთულები დანომრილი, მაგიდის ჩოგბურთის სტანდარტული ბურთებია. ისინი დამზადებულია მაღალხარისხოვანი ცელულოიდისაგან, ხოლო ლოტოტრონებში არავითარი ელექტრომაგნიტი არაა. მომგებიანი ბურთულების (ნომრების) გამოცვენას „სპორტლოტოში“ წმინდა შემთხვევითი ხასიათი აქვს და ნებისმიერი ჩარევა ადამიანის მხრიდან გამორიცხულია.

● **რესპუბლიკის ზოგიერთი რაიონიდან „სპორტლოტოს“ მოყვარულები გვწერენ, ზოგჯერ ბილეთების შოვნა ძალიან გვიჭირსო...**

— ამ თამაშის დაარსების პირველ წლებში ამ მხრივ, მართლაც იყო გართულებები, მაგრამ უკვე რამდენიმე წელია ჩვენ სისტემატურად ვამარაგებთ სარეალიზაციო წერტილებს.

კავშირგაბმულობის მუშაკების მიერ ფულის დაგვიანებით გადარიცხვა და ბილეთებზე მოთხოვნათა ასევე დაგვიანებული წარდგენა იწვევს ბილეთების რეალიზაციის შეფერხებას. ასევე ხშირია შემთხვევა, როცა ადგილობრივი მცხოვრების დიდი მოგების შემთხვევაში ბილეთები სწრაფად საღდება ხოლმე.

ასეთია ჩვენი პასუხი ვაჟა ხუციშვილის წერილზე, რომელიც ამა წლის 1 თებერვალს გამოქვეყნდა.

წლიდან წლამდე „სპორტლოტოს“ პოპულარობა სულ უფრო იზრდება. „სპორტლოტოს“ და „სპრინტს“ წლეულს „სპორტპროგნოზი“ მიემატება. შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ ახალი ლატარია არანაკლებ პოპულარული გახდება.

ამ თამაშთან დაკავშირებით მოყვარულებს უთუოდ ახალი კითხვები დაებადებათ. ჩვენი ცენტრი მზადაა ყველა კითხვას კვალიფიციური და ოპერატიული პასუხი გასცეს. ცენტრი მუშაობს 9 საათიდან 19 საათამდე, შესვენების გარეშე. ტელ. 34-20-00.

ახლადშექმნილ ცენტრში მუშაობის დროს.

„სპორტლოტო-87“ — „სპორტლოტო-87“

„სპორტპროგნოზის“ ლატარია

სპორტის მოყვარულებს, გულშემატკივრებს, ფართო სპორტულ საზოგადოებრიობას წლეულს სიურპრიზი ელით. იწყება „სპორტპროგნოზის“ ლატარია, მასში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა მსურველს. თამაშის მონაწილეები საკმაოდ კარგად უნდა ერკვეოდნენ გუნდების სიძლიერისა და შესაძლებლობებში, ვინაიდან „სპორტპროგნოზის“ ლატარიაში მათ უნდა ამოიცნონ სავარაუდო შედეგები ფეხბურთის, ჰოკეის, კალათბურთისა და და სხვა შეხვედრებში, რომლებიც გაიმართება პირველ ტირაჟში, 1987 წლის 28 თებერვლიდან 4 მარტამდე.

„სპორტპროგნოზის“ პირველი ტირაჟის პროგრამა ასეთია:

1. ვეფ (რიგა) — „სპარტაკი“ (ლენინგრადი). კალათბურთი. სსრ კავშირის ჩემპიონატი. 28 თებერვალი.

2. ცსკა — „ყალგირისი“ (კაუნასი). კალათბურთი. სსრ კავშირის ჩემპიონატი. 1 მარტი.

3. „დინამო“ (თბილისი) — ვეფ (რიგა). კალათბურთი. სსრ კავშირის ჩემპიონატი. 4 მარტი.

4. „კრილია სოვეტოვი“ (მოსკოვი) — „ხიმიკი“ (ვოსკრესენსკი). შაიბიანი ჰოკეი. სსრ კავშირის ჩემპიონატი, უმაღლესი ლიგა. 2 მარტი.

5. „ტორპედო“ (გორკი) — „სპარტაკი“ (მოსკოვი). შაიბიანი ჰოკეი. სსრ კავშირის ჩემპიონატი, უმაღლესი ლიგა. 2 მარტი.

6. „ზორკი“ (კრასნოგორსკი) — ასკ (ხაბაროვსკი). ბურთიანი ჰოკეი. სსრ კავშირის ჩემპიონატი, უმაღლესი ლიგა. 2 მარტი.

7. „დინამო“ (მოსკოვი) — „ენერგია“ (კრასნოიარსკი). ბურთიანი ჰოკეი. სსრ კავშირის ჩემპიონატი, უმაღლესი ლიგა. 2 მარტი.

8. „სტროიტელი“ (სიკტივკარი) — „დინამო“ (ალმა-ათა). ბურთიანი ჰოკეი. სსრ კავშირის ჩემპიონატი, უმაღლესი ლიგა. 2 მარტი.

9. „ბეშჭოთაში“ (თურქეთი) — „დინამო“ (კიევი). ფეხბურთი. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი, მეოთხედფინალი. 4 მარტი.

10. „ბორდო“ (საფრანგეთი) — „ტორპედო“ (მოსკოვი). ფეხბურთი. ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასი, მეოთხედფინალი. 4 მარტი.

11. „ცრვენა ზვეზდა“ (იუგოსლავია) — „რეალი“ (მადრიდი). ფეხბურთი. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი, მეოთხედფინალი. 4 მარტი.

12. „ბაიერნი“ (გფრ) — „ანდერლეჰტი“ (ბელგია). ფეხბურთი. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი, მეოთხედფინალი. 4 მარტი.

13. „მალმე“ (შვეცია) — „აიაქსი“ (ჰოლანდია). ფეხბურთი. ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასი, მეოთხედფინალი. 4 მარტი.

• • •

შენიშვნა: კალათბურთში საჭიროა ძირითადი დროის შედეგის გამოცნობა.

ასეთია „სპორტპროგნოზის“ ლატარიის პირველი ტირაჟის ამოსაცნობი კითხვები. ბილეთების შეძენა შეიძლება „სპორტლოტოს“ კიოსკებსა და პუნქტებში, ლატარიის შეუვსებელი ბილეთის ფასი 2 კაპიკია, პირველი ტირაჟის კითხვებზე შევსებული ბილეთების მიღება დაიწყება 21 თებერვლიდან.

„სპორტპროგნოზის“ ბილეთის შევსება საჭიროა მელნით ან პასტით, ბილეთში უნდა ჩაიწეროს თამაშის სავარაუდო, სულ მცირე ორი ვარიანტი.

შეამოწმეთ სწორადაა თუ არა შევსებული ბილეთი, შემდეგ ჩააბარეთ „სპორტლოტოს“ კიოსკს ან პუნქტს, ამასთან უნდა გადაიხადოთ ყოველი თამაშის ვარიანტის ფასი. თითოეული ვარიანტის ღირებულება 30 კაპიკია. „სპორტლოტოს“ კიოსკის ან პუნქტის საზოგადოებრივი გამავრცელებელი ყოველი ბილეთის „ა“ და „ბ“ ნაწილებს ტირაჟზე მისაღებად აღნიშნავს შტამპით, ხოლო „ა“ და „ვ“ ნაწილებზე აღნიშნავს გადახდილი ვარიანტების რაოდენობას და თამაშის მონაწილეებს უბრუნებს მის „ა“ ნაწილს, რომელიც „სპორტპროგნოზის“ მონაწილემ საბუთად უნდა შეინახოს ტირაჟის შედეგების შემოწმების დროს.

პროგნოზების შესწორება და გადახაზვა ბილეთებში არ შეიძლება. არ შეიძლება, აგრეთვე, შედეგების ჩაწერა ფანქრით, ან მხოლოდ ერთი ვარიანტის შევსება.

სათასო ტიპის შეხვედრებში მონაწილემ უნდა გამოიცნოს მხოლოდ ძირითადი დროის შედეგი, დამატებითი დროისა და მატჩისშემდგომი პენალტების შედეგები საჭირო არ არის.

მოგებულია ის, ვინც სწორად გამოიცნობს ყოველი ტირაჟის 13, 12 ან 11 შედეგს. ყოველი ტირაჟის მოგების ფონდს შეადგენს ფასგადახდილი ვარიანტების ღირებულების 50 პროცენტი.

„სპორტპროგნოზის“ ლატარიის მოგებების ანაზღაურება ხდება ცენტრალური და პირველი თანრიგის შემნახველ სალაროებში, მოგებათა განაღდება იწარმოებს ტირაჟის დღიდან 15 დღის შემდეგ მთელი თვის განმავლობაში.

„სპორტპროგნოზის“ ლატარიის შემოსავალი გადაეცემა სპორტულ მშენებლობას, ინვენტარის შეძენას, შეჯიბრებათა მოწყობას და მასობრივი ფიზიკური კულტურის განვითარების მიზნებს.

სპორტული ლატარიების მოყვარულთა საყურადღებოდ!

21 თებერვლიდან შეგიძლიათ ითამაშოთ ახალი სპორტული ლატარია „სპორტპროგნოზი“.

თბილისში ლატარია „სპორტპროგნოზის“ ბილეთების გაყიდვა და მათი შევსებული, გაუცალკევებელი „აბვ“ ნაწილების მიღება ჯერჯერობით შემდეგ პუნქტებში იწარმოებს:

სპორტული ლატარიების პროპაგანდისა და რეალიზაციის თბილისის ცენტრში (ელიავას ქ. № 26), აგრეთვე „სოიუზპეჩატის“ შემდეგ მაღაზიებში: მაღაზია № 1 — „პლანეტა“ (პუშკინის ქ. № 6), მაღაზია № 2 — „თბილისი“ (რუსთაველის გამზირი, მეტროს სადგურ „ლენინის მოედანთან“), მაღაზია № 3 — „საუნჯე“ (ა. წერეთლის გამზირი № 113), № 4 — „ნაპერწკალი“ (ა. წერეთლის გამზირი № 17), მაღაზია № 5 — „სხივი“ (ი. ჭავჭავაძის გამზირი № 44), მაღაზია № 6 — „ცისკარი“ (ი. ჭავჭავაძის გამზირი, მიწისქვეშა გადასასვლელში), მაღაზია №7 — „გლობუსი“ (ლენინის ქ. № 54), მაღაზია № 8 — „სპუტნიკი“ (ილ. ჭავჭავაძის გამზირი № 54), მაღაზია № 9 — „განთიადი“ (მეტროს სადგურ „თემქასთან“ მიწისქვეშა გასავლელში).

ლატარია „სპორტპროგნოზის“ ბილეთების „აბვ“ ნაწილების მიღების ბოლო ვადები (მათი ჩაშვება „სპორტლოტოს“ ყუთებში კატეგორიულად იკრძალება) ემთხვევა ლატარია „სპორტლოტოს“ ვადებს: „სპორტპროგნოზის“ ბილეთები „სოიუზპეჩატის“ მაღაზიებში მიიღება ყოველ პარასკევს, 12 საათამდე, სპორტული ლატარიების რეალიზაციისა და პროპაგანდის თბილისის ცენტრში — ყოველ პარასკევს, 18 საათამდე.

ნუ გადადებთ შევსებული ბილეთების ჩაბარებას.

ლატარია „სპორტპროგნოზის“ მთლიანი ბილეთის და თანხის მიღება, აგრეთვე, საზოგადოების მიერ პირადი სანომრო შტამპის ანაბეჭდის დასმა და ნაწილის განცალკევება „ბვ“ ნაწილისაგან, განსაზღვრულ დროს მოითხოვს. აღნიშნულმა პუნქტებმა ბოლო დღეებში შეიძლება ვერ დააკმაყოფილონ თამაშის მოყვარულნი, რის შედეგადაც ზოგიერთი შეიძლება „თამაშგარეთაც“ აღმოჩნდეს.

იყავით უურადღებით ბილეთების შევსების დროს.

გირჩევთ მონაწილეობა მიიღოთ სპორტულ ლატარიაში.

საქსპორტლოტო.

წიგნის თარო

„უშიშარ ვითარცა ...“

სპორტული ლიტერატურის თაროს კიდევ ერთი კარგი წიგნი შეემატა. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ გამოსცა აწგანსვენებულ ვალერიან მიხეილის ძე აფრიდონიძის წიგნი „უშიშო, ვითარცა უხორცო“. ავტორი ლიტერატურულ წყაროებზე და არქეოლოგიურ მონაპოვარზე დაყრდნობით საინტერესოდ მოგვითხრობს ანტიკურ საქართველოში (VI ს. ჩვ. წელთაღრიცხვამდე — V საუკუნე ახალი წელთაღრიცხვით) ფიზიკური კულტურის განვითარების შესახებ და მის კავშირზე სამხედრო საქმესთან.

საინტერესოდაა აღწერილი სამხედრო ფიზიკური მომზადების სისტემა, კერძოდ, თუ როგორ წარმოებდა ჭალთა სამხედრო ფიზიკური მომზადება. ავტორს ასევე სისრულით აქვს აღწერილი საშჯიბროსავარჯიშო ნაგებობანი, განიხილავს შეჯიბრების ჩატარების საორგანიზაციო საკითხებს. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს სახალხო დღესასწაულების, სავარჯიშო ადგილების აღწერა. წიგნში საუბარია სპორტის ისეთ სახეობებზე, როგორიცაა მშვილდოსნობა, მძლეოსნობა, ცხენოსნობა. მთამსვლელობა და სხვა.

ვ. აფრიდონიძე



წიგნის რეცენზენტია პროფესორი ა. ციბაძე, რედაქტორი ზ. კუხიანიძე. ეს წიგნი, რომელიც განკუთვნილია მასობრივი მკითხველისათვის, კარგ დახმარებას გაუწევს სკოლის ფიზიკური აღზრდის მასწავლებლებს, ამიტომ სასურველი იყო იგი უფრო დიდი ტირაჟით გამოეცათ.

ა. ჯიუჭარიანი,
ქუთაისის პედ. ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდის კათედრის გამგე.

ეკრანზე და ეთერში

ცენტრალური ტელევიზია. 19 თებერვალი. დილის დაჭურვა — **8.00 (1);** დილის ტანვარჯიში — **9.00 (2);** საჭადრაკო სკოლა — **12.05 (2);** მსოფლიო ჩემპიონატი სათხილამურო სპორტში: ორჭიდელთა შეჯიბრება ესტაფეტაში 3X10 კმ. (გადაცემა გფრ-იდან) — **13.55 (2);** ევროპის ჩემპიონთა თასი კალათბურთში: „ყალგირისი“ (სსრ კავშირი) — „ზადარი“ (იუგოსლავია) — **20.20 (2);** რიტმული ტანვარჯიში — **21.15 (2).**

20 თებერვალი. დილის დაჭურვა — **8.00 (1);** დილის ტანვარჯიში — **9.00 (2);** მსოფლიო ჩემპიონატი სათხილამურო სპორტში: ქალთა რბოლა 20 კილომეტრზე — **13.55 (1);** ტრამპლინიდან ხტომა — **21.15 (1).**

საქართველოს რადიო. 20 თებერვალი. სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში: ცსკა — „დინამო“ (თბილისი) — **22.15.**

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.

გაზეთ „ლელოს“ კოლექტივი იუწყება, რომ გარდაიცვალა რედაქციის ვეტერანი მუშაკი, ყოფილი თანამშრომელი

ანა თედორეს ასული ხაჩიძე

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ინდექსი: 66488. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096. თბილისი, ლენინის ქ. № 14. ბეჭდავს ოფსეტური წესით ბაგაზეთი „ორკუნში“, ბოშარიულის ქ., 29. УЦ 06782